

**კომერციული ბანკების ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა და საბანკო
რისკების კლასიფიკაცია**

ირინა მამალაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

მაია კაპანაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება კომერციული ბანკების ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა და საბანკო რისკების კლასიფიკაციის საკითხებს. მასში განიხილულია ლიკვიდურობის ცნება და მასთან შესაბამისობაში მოყვანილია ბანკების საკუთარი და მოზიდული სახსრების ნაირსახეობები.

სტატიაში ასევე საუბარია საბანკო რისკებზეც. დაჯგუფებულია ისინი სათითაოდ და განმარტებულია თითოეული რისკის სიძლიერე და ზემოქმედების ხარისხი. გარდა ამისა, სტატიაში განიხილება ბანკის ლიკვიდურობაზე ზემოქმედი შიდა და გარე პარამეტრები და მათი ურთიერთკავშირი.

საკვანძო სიტყვები: ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, აქტივები, პასივები, რისკები

Commercial Banks' Liquidity, Solvency and Classification of Banking Risks

Summary

The article is dedicated to the commercial banks' liquidity, solvency and classification of banking risks. The article discusses the concept of liquidity and in line with the banks' own funds and varieties.

The author discusses the banking risks: the risk of the strength and influence of each of the groups to them and explains satitoad areas. In addition, the article discusses the influence of internal and external liquidity options and their interrelations.

Keywords Liquidity, Solvency, Assets, Liabilities, Risks

* * * * *

კომერციული ბანკის ეფექტური მუშაობა რისკის და შემოსავლის სწორად შერჩეულ თანაფარდობაზეა დამოკიდებული. რისკი ყველა სახის აქტიური და პასიური ოპერაციებიდან მოსალოდნელი შემოსავლის ნაირსახეობასთან არის დაკავშირებული და იგი იმის ალბათობას წარმოადგენს, რომ ფინანსურმა პრობლემებმა ბანკის საქმიანობის მაჩვენებლებზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ, ბანკის ოპერაციების დაგეგმვისას, თითოეული სახეობის აქტიური ოპერაციისა და რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციის სარგებლიანობა და დანახარჯები უნდა იქნეს განსაზღვრული, რომლებიც

ბანკის მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისისათვის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვისთვის არის აუცილებელი.

ბანკის ლიკვიდურობა მისი აქტივებისა და პასივების დაბალანსებით, განთავსებული აქტივებისა და მოზიდული პასივების ვადების შესაბამისობის ხარისხით განისაზღვრება. ბანკს, რომელსაც მიმდინარე ლიკვიდურობის მხარდაჭერისათვის ლიკვიდური აქტივების საკმარისი მარაგი გააჩნია, მან იგი ვალდებულებების ნაკადის დაბანდებების ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნის ნაკადებზე მეტობის გამო შეიძლება დროთა განმავლობაში დაკარგოს. ლიკვიდურობის შეფასება საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბანკის აქტიური ოპერაციების რისკის შეფასებასთან არის დაკავშირებული.

ასეთი მიდგომისას ლიკვიდურობის შეფასება არა მარტო ბანკის საანგარიშგებო ბალანსების მონაცემებს, არამედ მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას, დაფინანსების წყაროების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებას და სხვა ფინანსურ ინფორმაციასაც უნდა ითვალისწინებდეს.

ვადიანი ტრანსფორმაციის რისკის ხარისხის შეფასებისათვის აქტიური და პასიური ოპერაციების ვადების აღრიცხვაში გამოსახულების რეგულირება არის მიზანშეწონილი. საკრედიტო პოტენციალის სახსრების შემოღინებისა და გაღინების ხარისხობრივი და რაოდენობრივი თანასწორობა ბანკის ლიკვიდურობის მხარდაჭერის პრაქტიკაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

გადაწყვეტილების შერჩევის ფინანსურ ინფორმაციას ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად სრულად უნდა იქნეს გამოყენებული, იგი ხელს უნდა უწყობდეს მოგების მიღებას და ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების შემცირებას.

კომერციული ბანკი, თავისი კლიენტებისაგან თავისუფალი თანხების მოსესხებით, ამ სახსრების თვისდოულად დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას იღებს თავისთავზე, ანუ მან ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრინციპები უნდა დაიცვას.

ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ლიკვიდურობის პირველად და მეორად რეზერვებად იყოფა. ლიკვიდურობის პირველი რეზერვი — განიხილება როგორც ბანკის ლიკვიდურობის წყარო. მას მიეკუთვნება სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე სახსრები, სხვა კომერციულ ბანკებში საკორე-

სპონდენტო ანგარიშებზე სახსრები, ნაღდი ფული და სალაროში და სეიფში, საგადასახადო საბუთები ინკასირების პროცესში. ლიკვიდურობის მეორადი რეზერვი — მაღალლიკვიდური შემოსავლიანი აქტივებია, რომლებიც მინიმალური შეფერხებით და დანაკარგების უმნიშვნელო რისკით შეიძლება ნაღდ ფულად გარდაიქმნას. მათ მიეკუთვნება

ბალანსის მუხლების ლიკვიდურობის მეთოდით დაჯგუფებისას ბანკის აქტივებსა და პასივებს შემდეგი სახე აქვს (იხ. ცხრ.1):

ცხრილი 1. ბანკის აქტივებისა და პასივების ლიკვიდურობის მეთოდით დაჯგუფება

აქტივები	პასივები
პირველადი რეზერვები ნაღდი ფული, სალაროში, რეზერვები ცენტრალურ ბანკში, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშზე, ფულადი სახსრები ინკასირების პროცესში	დეპოზიტები, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის კონტრაგენტების ყველა სახეობის ანაბრებს მოიცავს
დაბანდები მოკლევადიან ფასიან ქარაღებში — აქტივები, რომლებიც ნაღდი ფულის სახით ოპერატიულად შეიძლება იქნეს გარდაქმნილი	დეპოზიტები, რომლებიც ძირითადად ბანკში ვადების მიხედვით არის განთავსებული
მუხლები, რომლებიც მინიმალურ რისკთან არის დაკავშირებული და ლიკვიდურ აქტივებთანაა მიახლოებული	დანარჩენი მოზიდული სახსრები მუდმივი ფონდები და რეზერვები (სააქციო კაპიტალი და გრძელვადიანი სესხები)
კრედიტები, გაცემული სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციებზე, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებზე, კერძო პირებზე (მცირელიკვიდური აქტივები)	
იმობილიზაცია — ინვესტიციები მოძრავ და უძრავ ქონებაში	

აქტივები, რომლებიც სამთავრობო ფასიანი ქაღალდების პორტფელს შეადგენენ, ხოლო ზოგჯერ სახსრები ანგარიშებზეც (განსაკუთრებით მოკლევადიანი სესხები). მეორადი რესურსების ძირითადი დანიშნულებაა — პირველადი რესურსების შევსების წყაროს სახით გამოყენება. კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო რეზერვის ნორმაზე და თვისებანკის მიერ თავისთვის განსაზღვრული ლიკვიდურობის რეზერვის დონეზე არის დამოკიდებული. თითოეული კომერციული ბანკი ლიკვიდური სახსრების მინიმალური რეზერვის შექმნისა და თავისი ლიკვიდურობიდან, საიმედოობიდან, მომგები-

ანობიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო პოტენციალის უზრუნველყოფისაკენ მიისწრაფის. კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის საერთო დონეზე ფაქტორების შემდეგი ერთობლიობა ახდენს ზემოქმედებას: ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდე, ბანკში მობილიზებული სახსრების საერთო სიდიდე, საკრედიტო პოტენციალის წყაროების სტრუქტურა და სტაბილურობა, ცენტრალური ბანკში სავალდებულო რეზერვების დონე, მიმდინარე ლიკვიდურობის მხარდასაჭრად მიმდინარე რეზერვების გამოყენების რეჟიმი, ბანკის ვალდებულებების საერთო თანხა და რეზერვები.

კომერციულ წარმატებაზე ორიენტირებული ბანკებისათვის საჭიროა კაპიტალის ბაზარზე მუშაობა, სანარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების ახალი ფორმების მუდმივი მოძიება აირს აუცილებელი, რაც მდგრადი და ამავე დროს მოქნილი საბანკო სისტემების შექმნას მოითხოვს. აღნიშნულის განხორციელების მიზნით მთლიანი საკრედიტო-ფულადი მექანიზმის ხარისხობრივი დამუშავება და მისი მართვის სტრუქტურის გაუმჯობესება არის საჭირო.

ეკონომიკის საბაზრო მოდელი ითვალისწინებს, რომ ბანკის მუშაობის მნიშვნელოვან სტიმულს მომგებიანობა წარმოადგენს. მაგრამ საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის სხვადასხვა ეკონომიკური პარტნიორების გარკვეული სახის არასტაბილურობასთან არის დაკავშირებული, რაც შესაბამისად საბანკო რისკების სერიას წარმოადგენს. ხშირად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგების დადების ფინანსური პირობები, კლიენტის გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ კომერციული ბანკი გარკვეული გარიგების განხორციელებისას მის შედეგებში ბოლომდის დარწმუნებული ვერასოდეს ვერ იქნება, ანუ, სხვა სიტყვებით, გარიგების ფინანსური შედეგის რისკის განწევა უხდება.

ბანკები, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მუშაობისას, თავისთავზე არამარტო შიდა რისკების ნაირსახეობის, არამედ გარეშე რისკების (რეგიონალური, სოციალური, პოლიტიკური და სხვები) ზემოქმედებასაც განიცდიან, რომელთა ზემოქმედება ყველგან ერთნაირი არ არის. კომერციული ბანკების საქმიანობაში სხვადასხვა რისკების ძალიან დიდი რაოდენობა არსებობს, მათ შორის:

ემიტენტის ლიკვიდურობის რისკი — არის დარწმუნებულობა ან დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბანკის აქტივები შეიძლება საბაზრო ან მასთან დაახლოებულ ფასებში იქნეს გაყიდული;

სისტემატიური რისკი — არის რისკი, რომელიც ბანკის მუშაობაში მცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება მთლიანობაში საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში.

პროცენტული რისკი — არის ფინანსური აქტივების შემოსავლებისა და ფასების ცვალებადობა, რომელიც პროცენტული განაკვეთების დონის ცვლილებების შედეგად არის გამოწვეული, ანუ ეს არის რისკი იმისა, რომ მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებამ შეიძლება მუშა აქტივებზე შე-

მოსავალს გადააჭარბოს;

საბაზრო რისკი — წარმოიშობა მაშინ, როდესაც შიდა რესურსების (საკუთარი კაპიტალის) ღირებულება გარეშე ბაზარზე კაპიტალის ღირებულებაზე უფრო მაღალია;

ეკონომიკური რისკი — არის გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკი, რომელიც კონკურენტულ ბანკის პოზიცია პროცენტული განაკვეთის ან იდენტური საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად განიცდის;

პორტფელური რისკი — არის აქტივების პორტფელის კონცენტრაციის რისკების საქმიანობის ერთ მიმართულებას;

გადახდისუნარიანობის რისკი — წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკს საანგარიშსწორებო სახსრები არ გააჩნია და მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრები გამოიყენება;

სტრატეგიის რისკი — წარმოიშობა ბანკის მიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადეკვატურად განსაზღვრისა და ბაზრის იმ სექტორის მოთხოვნების დაუმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელზედაც მას მუშაობა სურს;

საბაზრო კონიუქტურის რისკი — არის საბანკო მომსახურებების ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებზე არათავისდროული რეაქციის რისკი;

მიმდინარე ოპერაციების ეფექტიანობის რისკი — არის მიმდინარე ოპერაციების არაეფექტიანობის რისკი, რაც კორექტული ინფორმაციის და ბანკის საქმიანობის მომგებიანობის ოპერატიულად განსაზღვრის აუცილებლობას საჭიროებს.

უფრო მეტად გავრცელებულ ფინანსურ რისკებს წარმოადგენენ: მსესხებლის გადახდისუნარიანობის, საკრედიტო, პროცენტული, სავალუტო, დაუბალანსებელი ლიკვიდურობის, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, ინფლაციური, ფინანსური ბერკეტის რისკები.

რისკებთან მიმართებაში მათზე მუდმივი ზედამხედველობის აუცილებლობა, მათი სიმრავლისაგან ისეთების გამოყოფის საჭიროება წარმოიქმნება, რომლებზეც შემცირების მიზნით მათზე ზემოქმედება არის შესაძლებელი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ყველაზე უფრო შემოსავლიანს სწორედ რისკიანი ოპერაციები წარმოადგენენ, ამიტომ ბანკის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვა ოპერაციის რისკიანობასა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის შემუშავებას საჭიროებს.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების ეფექტურობა შემდეგი სახის კომპლექსური პირობების დაცვით მიიღწევა: ლიკვიდურობის საჭირო მინიმუმის უზრუნველყოფით; საკრედიტო პოტენციალის სახსრების პოტენციალზე მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღწევით.

ბანკის ფინანსურმა მენეჯმენტმა თავისი საქმიანობის პროცესში საკმაოდ ურთიერთსაპირისპირო ისეთი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს, რომელთ-

აც საბანკო ლიკვიდურობის მართვის ფუნქციებს უწოდებენ, როგორებიცაა:

კრედიტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება;

დეპოზიტების მიღებასთან დაკავშირებით მენაბრეების სურვილის დამკმაყოფილება;

ბანკის ფინანსურ ბაზარზე საიმედოობის შენარჩუნება;

შემოსავლიანობის შემცირების მინიმიზაცია აქტივების მოგების მიუღებლად გაყიდვის ხარჯზე;

ბაზარზე მოზიდული რესურსების ღირებულების შეზღუდვა;

ბანკის ერთობლივი მოგების ოპტიმიზაცია.

დაგროვებული ლიკვიდურობისა (პირველი და მეორე რიგისობის ფულადი რეზერვების სახით) და შეძენილი ლიკვიდურობის (ბანკზე გახსნილი საკრედიტო ლიმიტების ერთობლივი მოცულობა) თანაფარდობა, აგრეთვე ბანკის ლიკვიდურობის ერთობლივი მოთხოვნილების განსაზღვრის პრობლემა ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის ძირითად პრობლემად რჩება, ვინაიდან ბანკის საქმიანობა არა მარტო ბანკის შიდა მდგომარეობისაგან, არამედ გარეშე ფაქტორებისაგანაც არის დამოკიდებული. განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორები (ცხრ. 2).

შიდა და გარე გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს ბანკი, სამკაოდ არასტაბილურია, ამიტომ ბანკის მენეჯმენტი გარემოების ცვლილებებზე რეაგირებისათვის წინასწარ უნდა იყოს მზად. ბანკის ლიკვიდურობის მართვის სტრატეგიის დამუშავებისას მისმა მენეჯერებმა სწორედ ამოტომ გარე გარემოს განვითარების შესაძლო სიტუაციები წინასწარ უნდა განჭვრიტოს და ლიკვიდურობისა და მათი ცალკეული შემადგენლების რეზერვების შექმნის მეტად ან ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმები შეიმუშაოს. გარდა ამისა, ლიკვიდურობის მართვის სტრატეგია და მათი ძირითადი თანაფარდობის საბანკო ოპერაციების უფრო სტაბილური სტრუქტურის ფორმირების მიზნით აქტივებისა და პასივების და მათი ძირითადი თანაფარდობის ცვლილებას უნდა ითვალისწინებდეს.

ამრიგად, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მიმდინარე მართვა წინასწარ შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს, რომელიც ბანკის განვითარების პრიორიტეტულ ამოცანებზე, მის შიდა შესაძლებლობებზე და ფინანსური ბაზრებისა და საერთო ეკონომიკური სიტუაციების განვითარების ამა თუ იმ პიროვნებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ცხრილი 2. კომერციული ბანკის ლიკვიდურობაზე ზემოქმედი შიდა და გარე პარამეტრები

ლიკვიდურობაზე ზემოქმედი შიდა პარამეტრები	ლიკვიდურობაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი გარე ფაქტორები
-კლიენტების რაოდენობის დინამიკა -კლიენტების ეკონომიკის დარგებისა და სექტორების მიხედვით განაწილება, მათი ბიზნესის სეზონური მერყეობისაგან დამოკიდებულება. -ბანკის სიდიდე და მისი იმიჯი -მცირე და საშუალო კლიენტების ტრანზაქციულ ანგარიშებზე შეუმცირებელი ნაშთების წილი -არსებული საკრედიტო პორტფელის ხარისხი -ფასიანი ქაღალდების, პორტ-ფელის უპირელეს ყოვლისა სავაჭრო პორტფელის ხარისხი -პასივების და აქტივების, ვალდებულებებისა და მოთხოვნილებების შესრულებისა და მოთხოვნილების შესრულების ვადების მიხედვით შეთანხმებულობა	-ეკონომიკური ციკლის ფაზა (ჩავარდნა ან ამაღლება) -საპროცენტო განაკვეთებისა და სხვადასხვა სექტორების ფინანსური ბაზრის ფასების -მაჩვენებლების შეფარდებითი ცვლილებების დინამიკა -ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე -ცენტრალურ ბანკში კრედიტების რეფინანსირების შესაძლებლობები -რეგიონული ეკონომიკის განსაკუთრებულობა, მისი დარგობრივი სტრუქტურა

ბანკის ლიკვიდობა - ეს არის აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენების და ამ აქტივების ნომინალური ღირებულების შენარჩუნების შესაძლებლობა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მის განკარგულებაში არსებული თანხები საკმარისია პასივების მიხედვით ვალდებულებების დროულად და სრულად დასაფარავად.

ყველა ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ემყარება ლიკვიდობის ცნების განსაზღვრის შესახებ საერთო საფუძველს, კერძოდ, კომერციული ბანკების მიერ ვალდებულებების მიხედვით გადახდის უზრუნველყოფას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტიმოთი უ. კოხის მიერ ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისას, მართალია არ არის ვალდებულებათა მიხედვით გადახდაზე ყურადღება უშუალოდ გამახვილებული, მაგრამ მთლიანად კონტექსტს თუ კარგად დავეუკვრებოდით, ნათლად ჩანს, რომ ნაღდი ფულის შეძენის უნარი აუცილებელია არა ბანკის სალაროს შესავსებად, არამედ სასესხო ვალდებულებების ანგარიშწორებების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ სავალდებულო რეზერვის ნორმის შემცირება იწვევს მაჩვენებელთა ვარიაციების დიაპაზონის მოქმედების კლებასაც. ამ შემთხვევაში სავალდებულო რეზერვის ნორმათა დიფერენციაცია უნდა განხილული იქნეს, როგორც ფულადი მასის სხვადასხვა კომპონენტების განცალკევებისა და შესაბამისად, მათი დინამიკის დიფერენცირებულად მართვის ინსტრუმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმათა მექანიზმი საქართველოს ეროვნული

ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ბერკეტებში ეროვნული ბანკის ჩამოყალიბებისთანავე ამოქმედდა. 1995 წლის 30 დეკემბრამდე ეს ნორმა შეადგენდა მოზიდული სახსრების 20%-ს, ფულის რეფორმის შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე და შესაბამისად, შეიცვალა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა, რომელმაც 1995 წლის 30 დეკემბერს 18% შეადგინა. 1996 წლის 30 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესდა მინიმალური 12%, ხოლო ხოლო 1998 წლის 14 სექტემბრიდან გაზრდილ იქნა 16%-მდე. დღეისათვის იგი 13%-ს შეადგენს.

მოზიდული რესურსების მოცულობის გაანგარიშებისას, რომლებიც ექვემდებარებიან რეზერვირებას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საბალანსო ანგარიშებს პასიური ნაშთები, მოზიდული სახსრების დინამიკა. აღრიცხვის ბაზაში არ ჩითვლება სხვა ბანკებიდან აღებული კრედიტები, საკრედიტო რესურსები, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა საქართველოს მთავრობას მიზნობრივი პროგრამებისთვის გამოუყო, დეპოზიტებზე, ბანკთაშორის და ცენტრალიზებულ კრედიტებზე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტები, ასევე აქციონერთა დივიდენდები, ობლიგაციური სესხები, სახსრები ბანკის განაზოგის ანგარიშზე. აგრეთვე ბანკის მუშაკთა ანაზღაურების დავალიანება და დავალიანებები სხვა აუცილებელ გადახდებთან დაკავშირებით.

კომერციული ბანკის საქმიანობის შეწყვეტისას ეროვნული ბანკი აბრუნებს რეზერვს კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშზე, რათა, კომერციულმა ბანკმა განახორციელოს ვალდებულებების მიხედვით ანგარიშსწორება.

სავალდებულო რეზერვის მოცულობა, რომელიც დეპონირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში, გამოითვლება პროცენტულად კომერციული ბანკის მიერ მოზიდული ფულადი სახსრების საერთო ოდენობასთან მიმართებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასაშვებია სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე განთავსებული თანხის გამოყენება სახაზინო ვალდებულებების შესაძენად, ამასთან, სავალდებულო რეზერვების ანგარიშიდან აღნიშნული მიზნით გამოსაყენებელი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის მიერ მოზიდული სახსრების 2%-ს. 2000 წლის 9 ივნისის ეროვნული ბანკის საბჭოს 35-ე დადგენილებით 20 ივნისიდან გაუქმდა ცვლილება სავალდებულო რეზერვების ფორმირების წესში. მისი გაუქმება მოხდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შემცირების პარალელურად.

რაც შეეხება საქართველოში არსებული ნორმების დონეს, ისინი არ არის რეკორდული მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ ნორმებთან შედარებით, მაგალითად, 70-იან წლებში იტალიაში ორნიშნა ინფლაციის ტემპების პირობებში ეს მაჩვენებელი

22,5% იყო, აშშ-ში 18%. მეტიც, ნორმების შემცირება არ არის რეკომენდებული ისეთ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან და მოითხოვენ მარეგულირებელი ზომების ანტიინფლაციურ მიმართულებას. ამასთანავე, ძალზე მაღალი სარეზერვო ნორმების დანერგვა არ შეესაბამება მსოფლიო პრაქტიკაში რეზერვების გამოყენების საერთო ტენდენციებს, რადგან განსაზღვრულ პირობებში ნორმების გადიდება შეიძლება გამოიწვიოს ფულად-საკრედიტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ზემოქმედების შესაძლებლობების შეზღუდვა. საქართველოში ეკონომიკური სიტუაციისა და პირველ რიგში ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციასთან ერთად ნორმები შეიძლება შეცვლილი იქნას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ეს ინსტრუმენტი უძლურია ოპერატიული და ფულადი კონტროლისათვის, მრავალი განვითარებული ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა მას საკმაოდ ხშირად იყენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 1997 წლიდან დღემდე ნორმები საშუალოდ წელიწადში 3-4 ჯერ იცვლებოდა.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საქართველო, აშშ და იტალია) რეზერვი ნორმისაგან თავისუფლდება ბაკთაშორისი დეპოზიტები. ცენტრალურ ბანკს კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვების განთავსების თვალსაზრისით საინტერესო თავისებურებები გააჩნია, ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ იტალიაში, მინიმალური რეზერვის მხოლოდ ნაწილი უნდა განთავსდეს ცენტრალურ ბანკში (70-იან წლებში - 10%) დანარჩენი ნაწილი დაბანდებული უნდა იქნეს თამასუქებსა და სხვა განსაზღვრულ ფასიან ქაღალდებში.

1930-1950 წლებში იტალიაში, საბანკო პრაქტიკაში მიღებულ იქნა რეგულირების შემდეგი დამატებითი წესები: ყველა ანაბარი, რომელთა ჯამიც 20-ჯერ აღემატებოდა ბანკის კაპიტალს, უნდა დაებანდებინათ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ან განეთავსებინათ მოთხოვნა ერთგვარად პროცენტთან დეპოზიტზე. აღნიშნული მოთხოვნა ერთგვარად ჰგავს ინგლისში არსებულ მოთხოვნებს (დეპოზიტების 25% სესხის სახით გადაეცემა ბროკერებსა და ჯობერებს, რომელნიც სპეციალიზებული არიან სახელმწიფო ობლიგაციებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე).

განვითარებულ ქვეყნებს შორის საფრანგეთში მინიმალური რეზერვების გაანგარიშების სრულიად უნიკალური ბაზაა, რომელიც ეყრდნობა გაცემული კრედიტების თანხას. რეზერვირებას ექვემდებარება სამამულო ბანკებში მხოლოდ რეზიდენტების მოთხოვნამდე ვალდებულებები 2%-ის ოდენობით. ვალდებულებები არარეზიდენტების მიმართ, ყველა ვადიანი ვალდებულება და უცხოური ბანკების ყველა ვალდებულება რეზერვირებას არ ექვემდებარება, ხოლო 15 მლნ. ევრო 1%-ით რეზერვირდება. ამით ხდება მცირე ბანკების სტიმუ-

ლირება. ასევე რეზერვში ჩაითვლება ცენტრალური ბანკის ობლიგაციები 7 წელზე მეტი ხსნის დაფარვის ვადით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთში ბანკებს ეძლევათ რეკომენდაციები ამა თუ იმ სახის კრედიტებზე, რომლის დარღვევის შემთხვევაში ხდება რეზერვების ნორმის გაზრდა. რაც შეეხება საექსპორტო წარმოებისათვის გაცემულ კრედიტს, იგი რეზერვირდება 0,5%-ით.

უნდა შევნიშნოთ, რომ საბანკო საქმის მსოფლიო პრაქტიკაში კომერციული ბანკების ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის ფართოდ არის დაცული პასივების მართვის ძირითადი მეთოდი - მართვადი პასივების გამოყენება. ლიკვიდობის მართვის აღნიშნული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკებს, რომლებსაც სჭირდებათ ლიკვიდური სახსრები, თავიანთი ვალდებულებების დასაფარავად, არ უცდიან კლიენტების მოსვლას თავიანთი შენატანებით (ანაბრებით), არამედ ინარჩუნებენ დამატებით საშუალებათა წყაროების ძებნას, არ იფარგლებიან ტრადიციული დეპოზიტებით და ვიწრო რეგიონებით, არამედ მთლიანად გადიან ქვეყნის და ცალკეულ შემთხვევაში, მსოფლიო ბაზარზეც. ამრიგად, მართვადი პასივები - ფულადი რესურსების განმსაზღვრელი წყაროებია, რომლებიც შეუძლია ბანკს ჩართოს დამოუკიდებელი გზით სხვადასხვა ფინანსური ინსტანციის გამოყენებით; მას ეკუთვნის: მსხვილი მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატები, ობლიგაციები, სხვა ბანკების სესხები, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა უკან გამოსყიდვის უფლებით, ასევე ევროსავალუტო სესხები.

მართვადი პასივების მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ხდება აუცილებელი ლიკვიდური რესურსების მიღება გარკვეული ბანკების მყარი და საიმედო ფუნქციონირებისათვის.

მართვადი პასივებიდან განსაკუთრებით გვინდა ავლენიშნოთ რეპო გარიგება, რომლის გამოყენებასაც აქვს მთელი რიგი უპირატესობა, როგორც ფირმებისათვის, რომელიც ფასიან ქაღალდებს იძენს და ასევე იმ ბანკებისათვის, რომელიც ფასიან ქაღალდებს ყიდის, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ერთ დღიანი გარიგება უკან გამოსყიდვის შესახებ ხასიათდება ლიკვიდობის მაღალი დონით, რამდენადაც ფასიანი ქაღალდების მყიდველ ფირმას შეუძლია დაიბრუნოს ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრები მეორე დღესვე;

2. ერთდღიან გარიგებას უკან გამოსყიდვის პირობით მოაქვს ფასიანი ქაღალდების მყიდველი პირისათვის განსაზღვრული შემოსავალი;

3. ბანკებს ასეთი გარიგების შედეგად შეუძლიათ ოპერატიულად მიიღონ დიდი მოცულობის თანხები, რომელიც აუცილებელია აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად ან დაფარონ გაუთვალისწინებელი გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია მის სავალ ვალდებულებასთან

და ა.შ. ამასთანავე უზრუნველყონ ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და გადახდისუნარიანობის რისკის შემცირება და ბოლოს;

4. უკან გამოსყიდვის შესახებ გარიგება, როგორც წესი, არ ითვალისწინებს მის დასაფარავად აუცილებელი რეზერვების შექმნის მოთხოვნებს და არ არის საჭირო საბანკო დეპოზიტების დაზღვევისთვის ხარჯების განევა.

მართალია, კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობა არ ეკუთვნის მართვად პასივებს, მაგრამ იგი უშუალოდ ზემოქმედებს ბანკების საიმედოობაზე, სიმყარესა დაა ლიკვიდობაზე. სწორედ ამიტომ არის ობიექტურად გამართლებული ცენტრალური ბანკის მოთხოვნა კომერციული ბანკების მიმართ, რომ ჰქონდეთ მათ საკუთარი კაპიტალის განსაზღვრული მოცულობა, რომელიც საკმარისი იქნება დაფარონ პოტენციური დანაკარგები მსესხებლის მიერ რესურსების დროულად დაუბრუნებადობის შემთხვევაში და ამასთანავე, ბანკის გადახდისუნარიანობისა და გაკოტრების შემთხვევაში დაიცვან მენაბრეებისა და კლიენტურის ინტერესები.

ამრიგად, კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირებაში ეკონომიკური ნორმატივების გამოყენების თვალსაზრისით, განვითარებული ქვეყნების ანალიზმა დაგვანახა, რომ:

1. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ცენტრალური ბანკების უფლება მინიმალური სავალდებულო ნორმების დაწესებაზე შეზღუდულ ხასიათს ატარებს, რაც გამოწვეულია კანონის საფუძველზე ნორმების დადგენით, კერძოდ, კანონმდებლობით დგინდება ნორმათა განსაზღვრული მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც ცენტრალურ ბანკს შეუძლია მანევრირება ნორმების გადახრის მიმართულებით;

2. მინიმალური რეზერვების ნორმები ერთმანეთისაგან სამი კრიტერიუმით განსხვავდება:

დეპოზიტების ვადიანობასა და მათ მოცულობაზე დამოკიდებულებით (აშშ, გერმანია);

დეპოზიტების ვადიანობასა და ბანკის ყველა დეპოზიტის ჯამზე დამოკიდებულებით (იაპონია);

დეპოზიტებისა და ვალუტის წყაროებზე (არარეზიდენტები, რეზიდენტები, სამამულო ან უცხოური ვალუტა) დამოკიდებულებით;

საბანკო სისტემის მართვის ადმინისტრირების მეთოდები შეცვლილია საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური მექანიზმებით, კერძოდ, ეკონომიკური ნორმატივებისა და სარეზერვო ნორმების დაწესებული მოცულობების დაცვა ხორციელდება არა მბრძანებლური მეთოდებით, არამედ ეკონომიკის მონეტარული სტაბილურობით, ეკონომიკის მონეტარული სტაბილურობით, ეკონომიკის განვითარების ტემპებით, მთლიანად საბანკო სისტემისა და ასევე თითოეული კომერციული ბანკის საიმედოობისა და ლიკვიდობის ზრდით, სავალდებულო მინიმალურ

რეზერვში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობების ჩათვლისა და ბანკში არსებული სარეზერვო ანგარიშის ნაშთზე პროცენტების დარიცხვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 1995 წ.
2. „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი“. თბ. 1998 წ.
3. „საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი. თბ. 1998 წ.
4. „საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“. თბ. 2006წ.
5. ნ. ბენიძე „საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიური საკითხები“. დის. ეკ. მეან. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2003 წ.
6. რ. იაშვილი. „საქართველოს საბანკო სისტემა: ფორმირების და განვითარების მიმართულებები და თავისებურებები“.. თბ. 2002 წ.
7. ი. კოვზანაძე „საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბ. 2002.
8. ე.ნ. კომპტონი “კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები” თბ. 2004წ
9. ლ. ქოქიაური „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“. ტ.1; თბ. 2004წ
10. ლ. ქოქიაური „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“. ტ.2; თბ. 2005წ.
11. ლ. ლუდუშაური „ბანკები და საბანკო ოპერაციები“. თბ. 2003.წ